სამშობლო, დიდის ქუჩუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
სამშაბათი
3
ივლისი
№79 (10316)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## საინფორმაციო ცნობა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1990 წლის 29 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმზე განსახილველად შეტანილი იყო სკკპ მომავალი 28-ე ყრილობის საკითხები.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმზე გამოვიდნენ: ნ. ი. მალკოვი — პარტიის ჩიტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ი. პოტაპოვი — პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ი. მელნიკოვი — სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის მინისტრი; ვ. ი. სიტნიკოვი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში; მ. ფ. ნენაშევი — სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; ა. პ. რიაბოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პერსონალური პენსიონერი, გ. ა. პოსიბეევი — პარტიის მარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ვ. ვ. ბაკატინი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი; გ. ი. იანაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე.

პლენუმმა მოიწონა ძირითადი დებულებები მოხსენებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ 28-ე ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები" და დაავალა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, დახვეწოს იგი გამართული განხილვის შესაბამისად. პლენუმმა დაავალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს მოხსენება გააკეთოს ყრილობაზე.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა სკკპ 28-ე ყრილობის საპროგრამო განცხადების — „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ" და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტები და მიიღო გადაწყვეტილება ეს დოკუმენტები შეიტანოს ყრილობის განსახილველად.

საბოლოო სიტყვა პლენუმზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

### მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების შესახებ კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გაგრძელდეს მუშაობა „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების შესახებ" კანონის პროექტზე აღნიშნული კანონისა და „საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ" კანონის პროექტის ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 ივნისი.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

### საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ

ხელმძღვანელობს რა ქართველი ხალხის ეროვნული სუვერენიტეტის იმპერატივებით, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით აღიარებული და გარანტირებული ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლების ხელშეუხებლობით, სხვა ნორმებით, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებით, აგრეთვე ჰელსინკისა და ვენის ფორუმების დასკვნითი და შემაჯამებელი აქტებით;

აღნიშნავს რა, რომ ქართველმა ხალხმა განახორციელა ეს უფლება 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით;

აღიარებს რა საქართველოს უფლებას აღადგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც დაკარგა 1921 წელს რსფსრ მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, რაც ინტერვენციით, ოკუპაციით და ფაქტობრივი ანექსიით გამოიხატა;

ვინაიდან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებამ საწყისი დაუდო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს, რისთვისაც საჭიროა ქმედითი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, უკვე მიღწეულის დაცვა და დამოუკიდებლობისაკენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, —

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეიმუშავდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმი საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე.

ამ მიზნით შეიქმნას კომისია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, აგრეთვე სპეციალისტების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენლებისაგან და დაევალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს განსაზღვროს კომისიის პერსონალური შემადგენლობა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 ივნისი.

---

გუშინ, 2 ივლისს, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას შეუდგა სკკპ 28-ე ყრილობა. ეჭვს არ იწვევს, რომ ქვეყნის კომუნისტთა ეს დიდი ფორუმი ნამდვილად ისტორიული იქნება, რადგან მან პასუხი უნდა გასცეს მრავალ ისეთ კითხვაზე, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებული იქნება არამარტო პარტიის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მომავალთან, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან.

---

### მეტი და მაღალი ხარისხის აბრეშუმი

ნაცატუელი მეაბრეშუმეები მიმდინარე წლის სეზონში გაწეული ნაყოფიერი შრომის შედეგებს იმკიან. დაიწყო და ორგანიზებულად მიმდინარეობს აბრეშუმის პარკის დამზადება.

ამ დღეებში კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ მურაზ თოლორაიამ რედაქციას აცნობა:

— მაღალი ხარისხის პარკის წარმოებას კარგი ტრადიცია აქვთ ნაცატუელ მეაბრეშუმეებს და არც წელს ღალატობენ მას. დროულად გაფორმდა კონტრაქტაცია სათაო პარკსაშრობთან, სანიმუშოდ მოუარეს აბრეშუმის ჭიას და შედეგებიც კარგია.

28 ივნისისათვის სათაო პარკსაშრობის ქარხანას ჩაბარდა 630 კილოგრამი პარკი.

პარკის ჩაბარების დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ნუნუ სტურუამ, დავარი, ლუცია და ტატიანა კვარაცხელიებმა, ტანია, ნარგიზა და ნაზო თოლორაიებმა, დალი და ემა სოხაძეებმა და სხვებმა.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივ აზრს სტუდენტი ახალგაზრდობის და მშრომელთა წინადადებებს ქ. თბილისის კალინინის, კიროვის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, პირველი მაისისა და საქარხნო რაიონებისათვის სახელების გადარქმევის შესახებ, რომლებიც მოიწონეს შესაბამისი რაიონული საბჭოების სესიებმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

2. ეწოდოს კალინინის რაიონს — მთაწმინდის რაიონი, კიროვის რაიონს — კრწანისის რაიონი, ორჯონიკიძის რაიონს — ვაკის რაიონი, 26 კომისრის რაიონს — ისნის რაიონი, პირველი მაისის რაიონს — დიდუბის რაიონი და საქარხნო რაიონს — სამგორის რაიონი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის [illegible] ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივი პრეზიდიუმის სხდომაზე

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთობლივმა პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის და მიმდებარე სოფლების დასახლებულ ზონაში მძიმე ეკოლოგიურ-სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ფაბრიკაში თავის დროზე არასრულყოფილად იყო დამონტაჟებული ტექნოლოგიური დანადგარები. მათი ფუნქციონირების პროცესში გარემოს დაცვის ღონისძიებების იგნორირების შედეგად ადგილი აქვს როგორც ფაბრიკის, ასევე მისი მიმდებარე სოფლების, დასახლებული ზონის ეკოლოგიურ გაბინძურებას, სანიტარული რეჟიმის დარღვევის მოუთმენელ ფაქტებს. კერძოდ, ფაბრიკის საწარმოო დანიშნულების ობიექტებიდან გამოსული სამრეწველო ნარჩენები, გაბინძურებული წყლები და ფეკალური მასა. ყოველგვარი წინასწარი დამუშავების გარეშე ჩაედინება წყალგამტარ-კოლექტორულ არხებში, საიდანაც გადადის მდინარე ჯუმში. აღნიშნული მიზეზით შექმნილია ანტისანიტარიის კერა, მომრავლებულია მავნე მწერები, გაბინძურებულია ჰაერი, რაც ფაბრიკის მიმდებარე სოფლის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

პრეზიდიუმის სხდომამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

* * *

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი.

ითქვა, რომ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, შესაბამისი სამსახურები, სასოფლო საბჭოები და სამეურნეო ხელმძღვანელები გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ თავიანთ ტერიტორიაზე სანიტარული რეჟიმის დაცვისათვის. ამ ბოლო პერიოდში მეტი ყურადღება ექცევა კეთილმოწყობის სამუშაოების ზრდას და მათ შემჭიდროებულ ვადებში დამთავრებას. ერთგვარად გააქტიურდა სანიტარული სამსახურების და ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობა. სანიტარული რეჟიმის დაცვის საკითხებს იხილავენ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ამჟამად არსებული მდგომარეობა მოწმობს, რომ სანიტარული რეჟიმის დაცვის საქმეში რაც გაკეთდა სულაც არ არის საკმარისი და იგი ოდნავადაც არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაზე, სოფლის დასახლებულ პუნქტებში იშვიათი როდია სანიტარული რეჟიმის უხეშად დარღვევის ფაქტები. ყოველივე ამას კი შესაბამისი სამსახურების მხრივ არ ეძლევა პრინციპული შეფასება. აღმასკომების მიერ შემუშავებული სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა ზოგად ხასიათს ატარებს. ამასთან მის შესრულებაზე არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი. არ არის პრაქტიკაში დანერგილი შესაბამისი სამსახურების, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა და სამეურნეო ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა.

ქალაქის ქუჩების დიდი ნაწილი (გარდა ცენტრალურისა) არ იგვება. სისტემატურად ირღვევა ნაგავის გატანის გრაფიკი, არ იწმინდება წყალსაწრეტი არხები, მოუვლელია კომუნალური საცხოვრებელი სახლების ეზოები, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საკანალიზაციო კოლექტორების გამართული მუშაობის საქმეს, ძალზე ჭიანურდება ცალკეული უბნების კეთილმოწყობის სამუშაოები. ყოველივე ეს ქმნის ანტისანიტარიას, იწვევს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას.

ქალაქის გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს გამწმენდი ნაგებობა, რომელიც ნაწილობრივ გამოსულია მწყობრიდან. ამასთან ხშირად მომსახურე პერსონალის დაუდევრობის გამო იგი გამორთულია და ნახმარი წყალი პირდაპირ ჩაედინება მდინარეში.

ნელი ტემპით მიმდინარეობს „საქქალაქმრეწვის" საწარმოო გაერთიანების გამწმენდი ნაგებობის გაფართოების სამუშაოები, ამავე საწარმოს ნაგავსაყრელი ჯერ კიდევ არ არის რეკულტირებული. არ მუშაობს დარჩელის, ზედაეწერის, ახალსოფლის ჩაის ფაბრიკების, ინგირის აგროკომბინატის, ჭკადუაშის ბიონერთა ბანაკის და ორულუს მეცხოველეობის კომპლექსის გამწმენდი ნაგებობები. ჭიანურდება მეფრინველეობის საბროილერო ფაბრიკის ნაკელსაცავიდან მდინარე ჯუმის გაბინძურების, ალკვეთის ღონისძიებათა გატარება.

სანიტარული წესრიგის დაცვის მხრივ არახელსაყრელი მდგომარეობაა ბევრ სოფელში.

პრეზიდიუმმა ქალაქისა და სოფლების ტერიტორიაზე ანტისანიტარული რეჟიმის დაცვისათვის გაწეული მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად. საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან მოითხოვა გასწიონ მიზანმიმართული მუშაობა სანიტარული წესრიგის გასაუმჯობესებლად. პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრონ შესაბამის სამსახურებს, პრაქტიკაში დანერგონ თვეში ერთხელ სანიტარული დღის ჩატარება, მოაწყონ სანიტარული წესრიგის დაცვის ერთთვიური, რეგულარულად მოისმინონ სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა ანგარიშები.

* * *

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ბოტანიკურ ბაღში, კულტურისა და დასვენების პარკში არსებული მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ ბოტანიკური ბაღის, კულტურისა და დასვენების პარკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის ბოლო წლებში გაწეული ღონისძიებები არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს.

ჯეროვნად არ არის გამოყენებული ბოტანიკური ბაღის პოტენციური შესაძლებლობანი, როგორც მეცნიერულად ისე ესთეტიკური თვალსაზრისით. ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს ეკოლოგიური პროპაგანდა, დასახვეწია ამ მიმართულებით მუშაობის ფორმები, რისთვისაც მეტი ინიციატივის გამოჩენა მართებს ბოტანიკური ბაღის კოლექტივს.

რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს კულტურისა და დასვენების პარკის მუშაობა, კაპიტალურ რემონტს საჭიროებს „მწვანე თეატრი", სათამაშო ატრაქციონების დარბაზი, კოკტეილ-ბარი, დასამონტაჟებელია წყალგაყვანილობა, შესაკეთებელია ელექტროგანათება, შესაძენია თანამედროვე ტიპის ატრაქციონები.

პრეზიდიუმმა ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვა მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ სხვა ბოტანიკურ ბაღებთან და რადიკალურად გარდაქმნან მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ეკოლოგიურ პროპაგანდას, განუმარტონ მოსახლეობას უნიკალური ძეგლების მნიშვნელობა.

კულტურისა და დასვენების პარკის დირექციას დაევალა შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიაღწიოს პარკის იერსახის შეცვლას.

პრეზიდიუმმა შეიმუშავა ბოტანიკური ბაღისა და კულტურისა და დასვენების პარკის შემდგომი განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

* * *

პრეზიდიუმზე განიხილეს საკითხი ზუგდიდის სატელევიზიო სადგურში არსებული მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სატელევიზიო სადგურში გაწეული ერთგვარი მუშაობის მიუხედავად ადგილი აქვს ტელეგადაცემების შეწყვეტისა და შეფერხებით მიღების ფაქტებს.

სატელევიზიო სადგურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მინიმალურადაც ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. შეცვლას საჭიროებს სამამულო წარმოების ამორტიზირებული აპარატურა, რომლის მეშვეობით ხდება პირველი და მეორე პროგრამების მიღება.

სადგური დღემდე უზრუნველყოფილი არ არის ელექტროენერგიის მესამე კვებით, შეფერხებებია სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში, რაც უარყოფითად მოქმედებს გადაცემების სტაბილურობასა და ხარისხზე.

სატელევიზიო ანძაზე და სტადიონზე სარელეო ხაზის აპარატურის დასამონტაჟებელი ადგილის უქონლობის გამო ვერ ხერხდება პირდაპირი ტრანსლაციის მოწყობა სტადიონიდან. კეთილმოუწყობელია სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორია. სტანდარტებს არ შეესაბამება მისი ფართობი. ხოლო გაზრდის საშუალებას არ იძლევა ახლოს მდებარე რესტორანის ძველი შენობა, რის გამოც დარღვეულია უსაფრთხოების დაცვის წესები.

აღნიშნული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული შედეგები ზუგდიდსა და მის რეგიონში შემავალი ხუთი რაიონის, რომელსაც სადგური ემსახურება, მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას და უკმაყოფილებას იწვევს.

პრეზიდიუმმა სატელევიზიო სადგურის კოლექტივს დაავალა უზრუნველყოს სატელევიზიო გადაცემების შეუფერხებელი და ხარისხიანი მიღება, აამაღლოს შრომის დისციპლინა, არ დაუშვას მორიგეობის გრაფიკის დარღვევის, ურთიერთ კინკლაობის და არაკოლეგიალური დამოკიდებულების ფაქტები.

პრეზიდიუმმა ენგურჰესის კაშხალმშენის სამმართველოს, „ზუგდიდგაზის" ტრესტის, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, ქალაქის კომუნალური მეურნეობის, კეთილმოწყობის კომბინატის წინაშე დააყენა საკითხი ზუგდიდის სატელევიზიო კვანძს აღმოუჩინონ საშეფო დახმარება.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ეთხოვა ზუგდიდის სატელევიზიო სადგურს გამოუყოს საჭირო აპარატურა და სათადარიგო ნაწილები, დროზე დააფინანსოს სათანადო თანხებით ჯვარი-ხაიშის რადიო-სატელევიზიო ხაზის მშენებლობა.

---

## მკითხველი შენიშნავს

### ეს გასათვალისწინებელია

დღითი-დღე იზრდება, მხრებს შლის და ლამაზდება ზუგდიდი. ბოლო დროს ქალაქს ბევრი ახალი ქუჩა შეემატა, ბევრსაც გამოეცვალა სახელწოდება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ ითავოს ერთი კარგი საქმე ქალაქის ცენტრში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას ზუგდიდის რუკა ქუჩების ჩვენებით, რითაც უცილოდ გაუადვილდება ჩამოსულ სტუმარსა თუ ადგილობრივ მცხოვრებს სასურველი ქუჩის მიგნება.

გ. ალშიბაია,
შრომის ვეტერანი.

---

## ინგირის აგროკომპლექსი: სიახლე, უკუგება, პერსპექტივები

კოლექტივის წინაშე რიგი პრობლემები კვლავ იჩენს თავს. მათი წარმოშობის შინაგან მიზეზებზე და დაძლევის გზებზე აი, რა გვითხრა კომბინატის პარტკომის მდივანმა ჯ. იზორიამ.

პირველ რიგში გამოვყოფდი მუშა-მოსამსახურეთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფის საკითხს. ამ ჭრილში ყველაზე მტკივნეულად იკვეთება სურსათით მომარაგება. ჩვენ არ გვქონდა სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ გვეძებნა შიდა რეზერვები. გეზი ავიღეთ სასათბურო მეურნეობის შექმნაზე. საკუთარი სახსრებით და ძალებით მოეწყო ბოსტნისათვის დახურული გრუნტი. ამან გარკვეულად შეუწყო ხელი მუშა-ხელის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეს. დღეისათვის საწარმოო-კომპლექსურ ბრიგადებში ფუნქციონირებს დატარებითი მომსახურება. ხალხი კმაყოფილია. გარდა ამისა ადგილზე მოწეული პროდუქციით მუშათა სასადილოც მარაგდება. უფრო გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი აქვს მუშა-მოსამსახურეთა რძით და რძის ნაწარმით უზრუნველყოფის საქმეს.

### ვეძიებთ გადაწყვეტის გზებს

ჯერ კიდევ მწვავედ გვაწუხებს თავს საბინაო უზრუნველყოფის საკითხი. ჩვენი მხრივ ყოველდღიური მცდელობის მიუხედავად არის რიგი სოციალური მომენტებისა რომლებიც აღამიანებს გარკვეულ პრეტენზიის საბაბს აძლევს. განსაკუთრებით დამაფიქრებელი მდგომარეობაა სამშენებლო მასალებით მომარაგების საქმეში.

დაწყებულია და უახლოეს პერიოდში დავამთავრებთ საკანალიზაციო მეურნეობის მოწყობას. მომავალში კვლავაც ქმედითი ზომები გატარდება საპლანტაციო გზების კეთილმოწყობისათვის, საკუთარი სატელეფონო სადგურის მწყობრში ჩადგმისათვის, ერთი სიტყვით კომბინატის ხელმძღვანელობა კვლავაც ყოველდღიური ზრუნვის არეში იყოლიებს სოციალურ საკითხებს, მშრომელთა კეთილი ტონუსით დამუხტვის მნიშვნელოვან ამოცანას.

ჯ. თელია.

დაბადებიდან 150 წლისთავისათვის

# ი. გოგებაშვილი — ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი

დიდი ქართველი პედაგოგ-დემოკრატის, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტისა და საბავშვო მწერლის ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი სრულდება მიმდინარე წლის ოქტომბერში. „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი პუბლიცისტური სიმახვილით წერდა: „დედა ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონების, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა“.

ი. გოგებაშვილის ყველა პედაგოგიური შეხედულება განმსჭვალულია ხალხურობის პრინციპით. ხალხი და მისი სასიცოცხლო ინტერესები განსაზღვრავენ აღზრდა-განათლების მიზნებს, ამოცანებს, მის შინაარსსა და მეთოდებს. ეროვნებას ი. გოგებაშვილის აზრით აქვს სამი ძირითადი ბურჯი: ტერიტორია, ეკონომიური მდგომარეობა და მშობლიური ენა. აქედან ერის უმნიშვნელოვანეს თვისებად თვლის დედა-ენას, ხალხურობის პრინციპის ქვეშ იგი თვლის ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობის აღზრდას, ბრძოლას შეგნებული და თავდადებული სამსახურისათვის.

ამ თვისებათა აღზრდის ორგანოდ მას სკოლა მიაჩნდა, ხოლო საშუალებად კი სწავლების პროცესი. აღზრდა-განათლების ზოგად მიზნად გოგებაშვილს მიაჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, „ბავშვის“ სულის ჰარმონიულად განვითარება, რაც შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისა“.

იაკობი აყენებს ახალი ტიპის ადამიანის აღზრდის პრობლემას, რომელიც უნდა იყოს აღჭურვილი ცოდნით და მტკიცე მორალით. ახალი ტიპის ადამიანი უნდა იყოს გამსჭვალული სამშობლოსა და ხალხის მგზნებარე სიყვარულით: მაღალი ჰუმანური გრძნობებით და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებით, შეეძლოთ უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა და ამავე დროს ხალხის საუკეთესო მერმისისათვის ხალხის მოძრაობის თაოსნობა.

თავის ნაშრომებში ი. გოგებაშვილი წარმოგვიდგენს აღზრდის ოთხ ძირითად ნაწილს: გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას. აღზრდის აღნიშნული ნაწილებიდან ყველაზე უფრო ვრცლად მის ნაწერებში წარმოდგენილია ორი: გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა.

საინტერესოა ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება ზოგადი და სპეციალური განათლების ურთიერთობის საკითხთან, რომელიც პედაგოგიკის ისტორიაში იყო ერთ-ერთი აქტუალური და სადავო საკითხი.

პედაგოგიკის კლასიკოსები (ი. ა. კომენსკი, დ. ქ. უშინსკი და სხვები) ზოგად განათლებას აღიარებდნენ სპეციალური განათლების წინაპირობად და მის საფუძვლად. მათ აზრს იზიარებდა ი. გოგებაშვილი. მისი აზრით, ზოგადი განათლება ქმნის ბავშვის ყოველგვარი ნიჭის გაშლის შესაძლებლობას, მხოლოდ ზოგადი განათლება ხდის ადამიანს ნამდვილ ადამიანად. სპეციალური ცოდნა არ უნდა იყოს მოწყვეტილი სხვა დარგების ცოდნას, „რომელიმე ერთი ნიჭის განვითარებამ არ უნდა მიჩქმალოს სხვა ნიჭი, არ უნდა მოსპოს მისი ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა“. ყოველი სპეციალისტისათვის იგი სავალდებულოდ თვლის ზოგად განათლებას. ეს კარგად ესმოდა ი. გოგებაშვილს და ამაშია მისი დიდი დამსახურებაც.

ამრიგად, ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ შეხედულებებში არის კონკრეტული ჩანასახი პოლიტექნიკური განათლებისა საქართველოში.

„მაღალი და წმინდა ზნეობის შთანერგვა მოწაფის გულში“ — აი, რა არის მასწავლებლის უმთავრესი დანიშნულება გოგებაშვილის აზრით. ჰუმანიზმის პრინციპებით ბავშვთა თავისუფალ განვითარებას ქადაგებს გოგებაშვილი თავის „ბუნების კარში“, „დედა ენასა“ და „რუსსკოე სლოვოში“. პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილია მისი მოთხრობები: „ცოტნე დადიანი“, „გამარჯვებული დედა“, „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „ივანემ რა ჰქმნა“ და სხვა.

საშუალო სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას ი. გოგებაშვილი თვლი და სავალდებულოდ. ამასთან თავის ნაშრომში „ბურჯი დედა ენისა“, იგი აღნიშნავს გოეთეს სიტყვებს: „ვინც დედაენას გარდა არა ენა არ იცის, მან რიგიანად არც დედა ენა იცისო“. იქვე ამბობს: „მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს, შეაქციეთ ზურგი უცხო ენას და დარჩით მხოლოდ დედა ენის ამარაო“.

სწავლების მეთოდი და მასწავლებლის ოსტატობა უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის „გონების გახსნას“ სათანადო ცოდნის შესაძენად, „აღუძრავდეს მოწაფეს შემდგომი სწავლის წყურვილს“. ამასთან ბუნების შეცნობას ი. გოგებაშვილი უდიდეს სააღმზრდელო ძალად მიიჩნევს, რადგან „მშობლიური ქვეყნის შესწავლა წარმოადგენს ფუნდამენტს პატრიოტული საქმეების სიყვარულისა“.

ი. გოგებაშვილის პატრიოტული იდეები საფუძვლად უდევს მომავალი სკოლის კონცეფციას და თითოეულ პედაგოგს უდიდეს ძალას მატებს მოზარდთა აღზრდისა და სწავლების საქმეში ეფექტის მისაღწევად.

ა. ლურწკაია.

წერილები ჩაის კომბინატიდან

## გულდანდობილად ეკიდებიან

მზა პროდუქციის საამქროთვით სახელწოდება მიანიშნებს იმ პასუხისმგებლობაზე, რაც აქ მომუშავეებს აკისრიათ. მათზეა დამოკიდებული მომხმარებლებისათვის უზადო პროდუქციის დროული მიწოდება, ზუსტი აღრიცხვა შექმნილი და მისაწოდებელი ნაწარმისა, მისი ხარისხების მიხედვით დაკლასიფიცირება და სხვა. ამ და სხვა შრომატევად სამუშაოებს გულდანდობილად ეწევიან: მიმოზა ჩიქვაძე, ლალი მირგატია, ჯემალ ბურძაშვილი, მერაბ დიდიშვილი, რამინ შონია, ედიშერ მიქავა და სხვები.

საამქროს მშრომელებს გარკვეულ სიძნელეებს უქმნის სათავსოების უკმარისობა. ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია ხელის შრომის ხვედრითი წილი. ეს და ზოგიერთი სხვა ხელისშემშლელი ფაქტორი მაინც უკან იწევს კოლექტივის ერთსულოვნების წინაშე, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი პირი არ გაიტეხონ მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების განაღდების საქმეში.

თ. აბშილავა,
ჩვენი კორ.

## საქმეს თავს ართმევენ

ჩაის კომბინატში თავის სიტყვას ამბობს ნედლეულის საამქრო, რომელსაც რეზო შულაია ხელმძღვანელობს. ეს საამქრო მიჩნეულია იმ საწყის რგოლად, საიდანაც „იკინძება“ წარმოების მთელი ციკლის სინქრონული ფუნქციონირება.

ეს უბანი, სხვათაშორის თავისი სირთულითაც გამოირჩევა, — გვითხრა საუბარში წარმოების უფროსმა რ. ნიქაბაძემ. საკმარისია ნედლეულით მომარაგებაში მცირეოდენი შეფერხება და... მომიჯნავე საამქროები ფერხდებიან.

საამქროს მუშებს დღეში დაახლოებით 50 ტონამდე ნედლეულის მიწოდება უწევთ შესაბამისი განყოფილებებისათვის. ეს ადამიანები მინდობილ საქმეს უხმაუროდ, უშურველად ასრულებენ. მოწინავეთა შორის დავასახელებდი თემურ ჯიქიას, ერეკლე შონიას, რამინ ჯიქიას, ზური ქირიას, ჯანიკო აფაქიძეს და სხვებს.

კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული ის სიძნელეები, რაც მიმდინარე წელს მათ უცილოდ შეახსენებს თავს. ყველანი მონდომებულნი არიან, იჩენენ თვითდისციპლინას, რათა წლევანდელი საწარმოო დავალებების შესრულებას პირნათლად გაართვან თავი.

ლ. კვარაცხელია,
ჩაის კომბინატის ოპერატორი.

ქმედითობა

## თვითნებურად იყო გახსნილი

მიმდინარე წლის 23 ივნისის გაზეთ „ოდიშში“ დაიბეჭდა კრიტიკული შენიშვნა „არ ვიცით ვის აწყობდა“, სადაც ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ვეტერინარული უბანი ზედაეწერიდან კორცხელში იქნა გადატანილი.

წერილის პასუხად ზუგდიდის რაიონის ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის უფროსი, რაიონის მთავარი ვეტექიმი რ. ჭურღულია გვწერს:

კორცხელის ვეტერინარული უბანი ვეტმომსახურებას უწევს კორცხელის, გრიგოლიშის, ოდიშის, ჭკადუაშის, ჩხორიის, რიყის სასოფლო საბჭოებს, ასევე ამ სოფლების ტერიტორიებზე არსებულ საზოგადოებრივ მეურნეობებს.

ზედაეწერის მეურნეობის ტერიტორიაზე ერთ დროს მოქმედი ვეტპუნქტი თვითნებურად იყო გახსნილი დროებით კორცხელის ვეტუბნის ხარჯზე. კორცხელის ვეტუბნის ასე დანაწილებაზე ზემდგომმა ორგანომ არ დაგვრთო ნება და ვეტპუნქტი გაუქმებულ იქნა. რაც შეეხება კორცხელის ვეტუბნის გადატანას ზედაეწერის ტერიტორიაზე, არ იქნება გამართლებული მომსახურების ზონების შეუფარდებლობის გამო.

## მეცხოველეთა საზრუნავი

მიმდინარე ეტაპზე სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპზე ეკონომიკის გადაყვანა, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვა, ყველა შრომითი კოლექტივის საზრუნავი გახდა.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის ბევრი რამ კეთდება დარჩელში. მეურნეობაში ქმედითი ღონისძიებები ტარდება სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ინერგება შრომის პროგრესული მეთოდები.

იჯარა ყველაზე ადრე მეღორეობის ფერმაში დაინერგა. ჩანს მისი სიკეთეც, შარშან 400 მანეთს გადააჭარბა თითოეული მოიჯარის შრომის თვიურმა საზღაურმა. ხელფასის გადიდებამ, სამუშაო პირობების გაუმჯობესებამ კიდევ უფრო აამაღლა ინტერესი საქმისადმი.

როგორც ეკონომისტმა გ. აბსანძემ განაცხადა, იჯარული რგოლის წევრები, რომელთაც ა. ჭანტურია ხელმძღვანელობს ყოველწლიურად ამცირებენ ღორის ხორცის თვითღირებულებას. მაგალითად, შარშან 1 ცენტნერი ხორცის წარმოებისათვის გეგმიური 262 მანეთის ნაცვლად გახარჯული იქნა 233 მანეთი. ასევე ხუთწლედის დამამთავრებელ წელსაც. ფერმა უზრუნველყოფილია საკვებით. იცავენ კვების რაციონს, რაც წარმატების უტყუარ გარანტიას იძლევა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის მუშაკებს კ. კოდუა ხელმძღვანელობს. მას მხარში უდგანან ზოოტექნიკოსი ა. ჯიქია, ფერმის ბუღალტერი ვ. ლურწკაია, ბრიგადირი მ. დანელია, რომლებიც მაღალპასუხისმგებლობას იჩენენ საქმისადმი.

მწველავებს ლულია ბიგვავას, კლარა კოდუას, დინურ ბეინავას, დინარა ესებუას, დინარა ელიავას, მომვლელებს ნუნუ ქითანავას, ნუნუ ხუნჯგურუასა და გენო ხარჩილავას შეუმსუბუქდათ შრომა. მექანიზებული წესით წარმოებს დარწყულება, ნაკელის გატანა და სხვა სამუშაოები.

კეთილმოეწყო მეცხოველეთა დასასვენებელი ოთახი. ადგილზეა ცხელი და ცივი წყალი. კეთილმოეწყო გზა. ფერმის მუშაკებს ემსახურებათ სპეციალური ავტომანქანა.

შრომისა და დასვენების პირობებს მეცხოველეები გონივრულად იყენებენ. დღეისათვის ისინი 357 მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ითვლიან, რაც გეგმას 7 სულით ჭარბობს. 108-ის ნაცვლად ყავთ 111 ძროხა. სრულდება ნამატის მიღებისა და სხვა დავალება.

აღმავლობაა მეთორმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ხუთ თვეში წარმოებულია 11265 კილოგრამი ხორცი, რაც გეგმას დიდად ჭარბობს.

არის მოუწესრიგებელი საკითხებიც, რაც აფერხებს საქმეს. მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა არაერთხელ გამოთქვეს საყვედური იმის გამო, რომ მეურნეობასა და ფერმას შორის წლების მანძილზე არაა სატელეფონო კავშირი. ისინი მოკლებული არიან რადიოგადაცემების მოსმენას.

წინ დიდი სამუშაოებია. მწველავები 300 ტონა რძეს პირდებიან სამშობლოს. წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის მუშაკებიც იჯარული მეთოდით იმუშავებენ, რაც მეტ მონდომებას, უაირათიანობასა და მომჭირნეობას საჭიროებს.

პ. აბსანძე.

## სპორტი

# მოჭიდავე — რეკორდსმენი

ლაშა ფიფიამ ჭიდაობა—სამბოს სექციაში მისვლისთანავე მიიქცია მწვრთნელის ყურადღება როგორც განსაკუთრებული ნიჭიერებითა და ტალანტით გამორჩეულმა. პირველად იგი გახდა ქ. ზუგდიდის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, შემდეგ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორობაც მოიპოვა. განსაკუთრებით გამორჩეული ლაშასთვის მაინც მიმდინარე წელი გამოდგა. თებერვლის თვეში ქ. ახმეტასა და საგარეჯოში ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობებზე შესანიშნავი შედეგი აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ იყო აპრილის თვე... მოსკოვის საკავშირო ტურნირი, ისევ მოგება რესპუბლიკური პირველობა ქ. ფოთში და ბოლოს 48 კგ წონით კატეგორიაში ქ. თბილისში მოპოვებული რესპუბლიკური თასი...

ლაშა ფიფიამ შეასრულა მოზრდილთა სსრკ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. იგი შეყვანილია საქ. სსრ მოსწავლეთა ნაკრებში და აგვისტოს თვეში უნდა დაიცვას ჩვენი რესპუბლიკის ღირსება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში. ლაშას მწვრთნელია საქ. სსრ ნაკრების პირველი კატეგორიის მწვრთნელი, სსრკ სპორტის ოსტატი ე. კვიციანი.

წარმატებები არ მოშლოდეთ ოსტატსაც და შეგირდსაც.

## რობაქება

ათი ათასი საუკუნე და უფრო მეტიც
ამ ცის კიდეგანს უცქერს კაცი და უფრო მეტიც,
ზოგი მათგანი დოქად იქცა და ზოგიც მიწად,
წარმავალია ეს ცხოვრება და უფრო მეტიც.

• • •

მეგობარს შევხედი ერთ სარდაფში მიწა რომ ზილა,
ის არც მეორემ არ დაინდო, წიხლებით ზილა.
მე გავეხუმრე, თქვენგანაც რომ მოზელენ მიწას
დოქს გამოსწვავენ ცეცხლის ალში ლამაზს და მზზინავს.

• • •

გეყოფა ხელში ბარის ქნევა, მე, მესაფლავევ,
ბალახი ფეხქვეშ აგიყვირდა, მე, მესაფლავევ,
რატომ არ ხედავ ამ ბალახის ხვალინდელ ყლორტებს,
რომ შენს საფლავზეც იბიბინებს, მე, მესაფლავევ.

* * *

ვიცი მოვკვდები, დრო გადავა, მოზელენ მიწას,
ჩემს ბაღში ქარი მშვიდ ყვავილებს სულ გადაფრიწავს,
ხვალ ამ მიწისგან ლამაზ დოქებს გააკეთებენ,
ყვირილით მისი გამყიდველი ხმას ჩაიხლიწავს.

* * *

მოდი დავლიოთ რაც გულში გვაქვს, რაც გულს აკლია,
მოდი დავლიოთ სიყვარულზე, რა გულს აკლია,
მოდი დავლიოთ, რომ ნათელი გათენდეს დილა
და კვლავ დავლიოთ სიყვარულზე, რაც გულს აკლია.

გიორგი გოგოხია.

### გახსენება

# სიცოცხლე გრძელდება

მართლაც რომ წუთად ექცა წუთისოფელი, ნაადრევად წავიდა ჩვენგან, 47-ე გაზაფხულს ვეღარ შეესწრო. უყვარდა მეგობრებს, კეთილშობილებისა და სათნოებისათვის, გულისხმიერებისა და ვაჟკაცობისათვის... დიდი სევდა და ტკივილი დატოვა ავტოსადგურის შრომით კოლექტივში, სადაც 23 წელი დაჰყო.

დღე ერთია და ათასჯერ ვიგონებთ ჩვენს ერთგულ მეგობარს, იშვიათი ადამიანური თვისებებით გამორჩეულ პიროვნებას. ამბობენ, სიკვდილის შემდეგ დარჩენილი კარგი სახელი იგივე სიცოცხლის გაგრძელებაა და ჩვენც გვჯერა, რომ კუკური კაჭარავას სიცოცხლე მის ლამაზ ოჯახში, მის მშვენიერ შვილებში გაგრძელდება...

ნ. როგავა,

„სოფლქიმიის" გაერთიანების აგრონომი.

# შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებიდან იტყობინებიან

25 ივნისს ქ. ზუგდიდში გრიბოედოვის ქუჩის პირველი შესახვევის №7-ში დაკავებულ იქნენ წარმოება-დაწესებულებათა სეიფების გატეხვაში ეჭვმიტანილი პირები ოთარ ვარლამის ძე ახალაია და ტარიელ შოთას ძე შენგელია, ეს უკანასკნელი იძებნებოდა ქ. როსტოვისა და ქ. ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებების მიერ მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის.

ახალაიას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკვისას ამოღებულ იქნა „ნაგანის" სისტემის რევოლვერი საბრძოლო ვაზნებითა და სხვადასხვა ნაქურდალი ნივთებით. გაიხსნა მათ მიერ ჩადენილი სახელმწიფო ქონების ქურდობის შვიდი ფაქტი.

### მილოცვები, სურვილები...

ჭითაწყარის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს დოდო ქვარაიას და №3 სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს რეზო ქირიას როზა როგავა ულოცავს ოჯახის შექმნას, უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მრავალშვილიანობას.

### ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადროშოს ზუგდიდის რეგიონალურ ორგანიზაციას ნებადართული აქვს აიყვანოს ტაქსებად მოქალაქეთა ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფი მსუბუქი ავტომანქანები.

ჩვენთან მსურველებს ელით შეღავათიანი პირობები. იჩქარეთ, გააფორმეთ ხელშეკრულება. ჩვენი მისამართია: ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. 21, სდს სამეგრელოს სადროშოს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადროშოს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა.

„საქაგრომრეწვის" ზუგდიდის ღვინის ქარხანა ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან ღებულობს კონიაკის და არყის 0,5 ტევადობის ბოთლებს. სახელმწიფო ფასებში (1 ცალი 20 კაპ.).

მისამართი: ზუგდიდი, წერეთლის ქ. 62, ღვინის ქარხანა.

### წერილი რედაქციას

## ვის მივმართოთ?

არაერთგზის დაწერილა და თქმულა, რომ ზუგდიდში სასაფლაოები —ეს წმინდა ადგილები შემოუკავებელ-მოუვლელია, მაგრამ ვინ ისმინა. ერთ დროს ჩვენს ქალაქში არსებობდა საწესჩვეულებო მომსახურების კომბინატი, რომელიც კარგად ასრულებდა თავის მოვალეობას, დღეს კი... 1978 წლიდან ვითხოვთ ქაფათის სასაფლაოს შემოკავებას, მაგრამ გამკითხავი არავინაა. როდემდე უნდა ვიყოთ მიცვალებულთა ჭირისუფლები ასეთი ქაოსის შემყურენი?

მარიამ კუკავა,

მერი მანია,

(სულ 10 ხელმოწერა).

### სამადლობელი

# მათი თანადგომა რომ არა...

მოხდა ისე, რომ ჩვენი ახლობლის ბიჭმა —მინდია ლუკავამ თამაშის დროს მუცლის არეში ჭრილობა მიიღო და ნაწლავი დაუზიანდა. არც მინდიას მშობლები, არც ჩვენ ამ დროს შინ არ ვიყავით, ბავშვს კი სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა.

სწორედ ამ დროს მოგვევლინენ მხსნელად ჩვენი თანასოფლელი, პედაგოგი ნარიმა კოდუა და მისი ბიძაშვილი —გოგი კოდუა. მათ გვერდში ამოუდგნენ რეზო და ვაჟა ლატარიები, რომლებმაც ბავშვი ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. უფრო მეტიც: როცა საჭირო შეიქნა ავადმყოფისათვის სისხლის მიცემა, ნარიმა კოდუამ საკუთარი სისხლი გაიღო.

შემდეგ სიცოცხლისათვის ბრძოლაში ექიმებიც ჩაებნენ. ბავშვი ახლა გამოჯანმრთელებულია.

ამ ადამიანების თანადგომა, გულისხმიერება და თავდადება რომ არა, ვინ იცის, ეს უბედური შემთხვევა როგორ დამთავრდებოდა. ამიტომაც გვინდა ყველას მადლობა ვუთხრათ, ვინც სიცოცხლის გადარჩენისათვის არ დაიშურა სისხლი და თავისი ცოდნა და გულისხმიერება ბავშვის გადარჩენას მოახმარა.

ლიანა და ჯუმბერ ლატარიები.

რედაქტორი

აკ. ჭანტურია.

შვილები: ცუცა, ლონდიკო, და ბუცია, შვილიშვილები: მამუკა, კახა, ხათუნა, შვილთაშვილი გოგა, რძლები: შურა, ირა, ოლგა, მული ლიდა ჯაბუა, სიძე თეხგიზ გასანოვი, მზახალი ლიდა ჭურღულია, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლოლა (ქიონია) ბართლომეს ასულ მოხია-კუკავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 ივლისს, გამოსვენება ქ ზუგდიდი, გაბაშვილის ქ. 17.

შვილები: შალონა. გულანდა, მერაბ. ძარინე ჭეჟიები, და აველინა. რძლები: ნათელა ხაზალია, ლეილა ქირია, შვილიშვილები: გრიგოლ ჭეჟია, ინგა, ლაშა შელიები, არჩილ, თეა სექანიები. სიძეები: ვანია ორყონია, ბიძინა სექანია, ვახტანგ შელია, დისშვილი რევაზ ორყონია, ცოლისძმები: იროდ, შალიკო ყორშიები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**გრიგოლ (გრიშა) გერასიმეს ძე ჭეჟიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, ივლისს. დაკრძალვა 7 ივლისს სოფელ ანაკლიაში.

მეუღლე ხოთო გაგუა, შვილები: ყორა, ნინა, შვილიშვილები: ზვიადი, შორენა გაგუები, ლენა კრუჩინინა, ძმა ვარლამ კუხალეიშვილი, სიძე ანდრეი კრუჩინინი, რძლები: მედიკო დარასელია, ბუქლუ, აგრა, ციალა, ანიკო, ნათელა, მაზლები: ყორა, ავთო, არველოდი, მული ვერა, ძმისშვილები: ლამარა, არველოდა, ზური, ციცო, აზა, ნანი, დისშვილი კორნელი გოგობია, ბიძაშვილი შოთა კუხალეიშვილი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შურა გიორგის ასული კუხალეიშვილი-გაგუა,**

პანაშვიდი 4, 5, 6 ივლისს, დაკრძალვა 7 ივლისს, გამოსვენება კრილოვის ქ. 28-დან.

ზუგდიდის №16 სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზირებული კოლონის შრომითი კოლექტივი იუწყება

**ეთერ ელიზბარის ასულ ჯიქია-მურღულიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ლეილა, მამა ბუხუტი, და დალი, ძმა კაკო, ბებია ბუცა, ბაბუა შალიკო. დისშვილები: რუსიკო, თეა წურწუმიები, სიძე ვალერი წურწუმია, დეიდები: ნათელა, ნელი, ნუნუ ლატარიები, მამიდები: ლუნა. თინიკო, მაგული. გოგონა, ბრა ხასიები, ბიძები: რეზო, შაქრო ხასიები, ალიოშა ლატარია, ყორა ქარდავა, ყორა ხასია. კოტე აბშილავა, გურიელ როგავა, ვაჟა იზორია, კოკი ქვარცხავა, მეგონა აკობია, გულადი ქობალია, ვალოდია ძიგუა, ბაცოლები: მარინა ხასია, მარიზა აგუმავა, დალი ბუკია. ქსენია ქარდავა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ნანა ბუხუტის ასულ ხასიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5, 6 ივლისს, დაკრძალვა 7 ივლისს. გამოსვენება თავისუფლების მესამე შესახვევი.

შვილები: ნელი, გურამი, კოტე, ანზორი კოხიები, რძლები: დოდო მაჭაცარია, ეთერი ნაყოფია, ხუნტული ქვარაია. სიძე ვალოდია ელეფთერიადი, შვილიშვილები: რუსიკო, ჯამბული, ბესიკი, ბაჩუკი, კოსტია. ზაზა. ელისო. ინგა. ეკომერი, ლადო კოხიები, თმარა. მარინა. თემური ელეფთერიადები, ძმისშვილი მარინა კაკალია, მულიშვილები: ლუდა, ვალიკო. მირიანი წარსიები ოჯახებითა და ახლო ნათესავებით იუწყებიან

**მარო (მარტიშკა) დიმიტრის ასულ კაკალია-კოხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 ივლისს, დაკრძალვა 7 ივლისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კეცხოველის ქ. 23.

მეუღლე რომანოზი, შვილები: რადიონი, ვახტანგი, ნაზო, ინეზა, რძლები კლავა ჯიქია, მარინა ჩუხუა, დაშა შერნიშენკო, სიძეები თენგიზი ლლონტი. რეზო ქეზუა, ამირან ფაცაცია, არველოდი არაჩემია. მამია ჩუხუა. იადო შანავა. შვილიშვილები: ცოტნე, სალომე მურღულიები, კაკო, მიშიკო ლლონტები, ნინო, გიზო. ნათია ქეზუები. დები: ნორა. ლიზა, ნუცა. მული ძაძუ, ძმისშვილები: ნოდარი, ვალერი, ტრისტანი, ზურაბი. მარინა ჯიქიები, დასშვილები: აბელი, ზურაბი, იზო. დიანა ფაცაციები. მურთაზი, ჯამბული არაჩემიები. ტოლიკი, ჯემალ, მურმან, მერაბ. სვეტა, ია ჩუხუები, მულიშვილები, მაზლიშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ეთერ (მალიშა) ელიზბარის ასულ ჯიქია - მურღულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 ივლისს. დაკრძალვა 5 ივლისს კორცხელში.

მეუღლე ლიარა, შვილები: სოსო, თამარი, მამუკა, ბორისი, რძალი შორენა თოდუა, სიძე გია რატია, დები: ქვათა, ეთერი. შვილიშვილები: ლია, გიზო, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ვაჟა მაკარის ძე ფიფიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 ივლისს, დაკრძალვა 7 ივლისს სოფ. ახალკახათში.

ზუგდიდის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეობის სპეციალიზირებული ფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან

**ნანა ბუხუტის ასულ ხასიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

განარჯიის მეხურის მეხილეობას საბჭოთა მეურნეობისა და სასოფლო საბჭოს კოლექტივები იუწყებიან

**ჯანიკო ისიდორეს ძე ბაჩილავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის— 2-84-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის [illegible] განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის —2-47-06

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდის [illegible] მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3237